საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-136

07/03/2018

ქ. თბილისი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მენესოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. არაგვზე შპს „მენესო ჰესი“-ს 8,1 მგვტ სიმძლავრის ჰესის (მენესო ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.8 ქვეპუნქტებისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს „დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მენესოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. არაგვზე შპს „მენესო ჰესი“-ს 8,1 მგვტ სიმძლავრის ჰესის (მენესო ჰესი) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა #1; 26.02.2018წ.
2. შპს „მენესო ჰესმა“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #1; 26.02.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მენესო ჰესს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მენესო ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი